



British Embassy
Tbilisi



UKaid
from the British people



Research



მომზადებულია ორგანიზაცია პი ემ სი კვლევითი ცენტრის მიერ, საჯარო სამსახურის ბიუროსთან თანამშრომლობით, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის UK aid-ის ხელშეწყობით. გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს დონორი ორგანიზაციების თვალსაზრისს.

კვლევის მიზანი

კვლევა მიზნად ისახავს საჯარო მოხელეების პროფესიული განვითარების პროგრამაში არსებული ზოგადი გამოწვევების შესწავლას, სწავლების ონლაინ სივრცეში გადატანასთან დაკავშირებული ბარიერების გამოვლენას, ონლაინ სწავლებასთან მიმართებაში, საჯარო მოხელეების მზაობის შეფასებასა და ონლაინ სწავლების ეფექტურობის გასაზრდელად, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას.

კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება შერეულ დიზაინს და აერთიანებს თვისებრივ და რაოდენობრივ მეთოდებს: არსებული დოკუმენტების ანალიზს, ძირითად ინფორმანტთა ინტერვიუებს, ფოკუს-ჯგუფებსა და სატელეფონო გამოკითხვას, რომელიც რეპრეზენტატულია ქვეყნის მასშტაბით, საკრებულოებსა და მერიებში დასაქმებული საჯარო მოხელეებისთვის. საკითხის სიღრმისეული ანალიზისთვის, კვლევა ეყრდნობა სხვადასხვა ჩართული მხარის მოსაზრებებს; მათ შორის არიან საჯარო მოხელეები ისევე, როგორც საჯარო სამსახურის ბიუროს, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ტრენინგ-ცენტრების წარმომადგენლები.

კვლევის ძირითადი მიზნები

კვლევის ფარგლებში, გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი გამოწვევები, რომლებიც, დისტანციურ რეჟიმზე გადასვლამდე, არსებობდა საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების სისტემაში და მნიშვნელობას ინარჩუნებს ონლაინ სწავლების ფარგლებშიც: მოხელეების პროფესიული საჭიროებების შეფასების სისტემის ეფექტურობის გაზრდა, მოხელეების პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლას შორის კავშირის გაძლიერება, სწავლების ალტერნატიული ფორმების დანერგვა, პროფესიული განვითარების სისტემის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების გაუმჯობესება და სხვა. აღსანიშნავია, რომ არაქართულენოვანი მოხელეებისთვის დამატებითი გამოწვევები გამოიკვეთა ენობრივი ბარიერის სახით, რაც ზღუდავს მათ ხელმისაწვდომობას ტრენინგებზე.

ონლაინ სწავლებისთვის მზაობის შესაფასებლად, კვლევა ეყრდნობა ოთხ კრიტერიუმს: მოხელეთა საბაზისო ტექნიკური უნარები, ტექნიკური აღჭურვილობის ხელმისაწვდომობა, ონლაინ სწავლების მიმართ დამოკიდებულება, ასევე მოტივაციის მექანიზმები და დამოუკიდებლად სწავლის უნარი. საჯარო მოხელეების უმრავლესობისათვის, პროფესიული განვითარების პროგრამაში მონაწილეობის ძირითად მოტივაციას სამსახურეობრივი მოვალეობების უკეთ შესრულება და სამსახურეობრივი წინსვლის შესაძლებლობა წარმოადგენდა. ამის მიუხედავად, პროფესიული განვითარების ტრენინგებში სუსტია ბმა მოხელეების სამსახურეობრივ საჭიროებებთან და კარიერული წინსვლის მექანიზმებთან.

დროის დაზოგვისა და სწავლის სამსახურთან უკეთ შეთავსების შესაძლებლობა იმ მთავარ მიზეზებს შორის დასახელდა, რის გამოც, მოხელეებმა შეიძლება აირჩიონ ონლაინ ტრენინგები. თუმცა, მეორე მხრივ, ონლაინ სწავლებას შეიძლება უკავშირდებოდეს გარკვეული წინააღობები; მათ შორის, ინტერაქციის დაბალი დონე, სწავლაზე კონცენტრაციის სირთულე და სხვა. აღსანიშნავია, რომ იმ ქალ საჯარო მოხელეთათვის, ვინც დისტანციურად მუშაობას უთავსებს საოჯახო მოვალეობებს, დამატებით გამოწვევას წარმოადგენს ონლაინ სწავლა.

შესაბამისი გამოცდილების ნაკლებობის გამო, საქართველოში საჯარო მოხელეებს ნაკლებად აქვთ განვითარებული ონლაინ სწავლებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები: თვითორგანიზებულობა, დროის და სწავლის პროცესის დაგეგმვა და მოტივაციის შენარჩუნება. ამიტომ მნიშვნელოვანია, ონლაინ სწავლების დანერგვას ახლდეს საორიენტაციო კურსები, საჯარო მოხელეებისთვის ონლაინ სწავლის დაგეგმვასა და წარმართვაზე.

გამოკითხვა ცხადყოფს, რომ მოხელეთა დიდ ნაწილს სჯერა ონლაინ სწავლების ეფექტურობის. გამოკითხულთა 63% ფიქრობს, რომ ელექტრონულ სივრცეში სწავლება შესაძლებელია, ისეთივე შედეგიანი იყოს, როგორც პირისპირ სწავლება. თუმცა, ფოკუს-ჯგუფების დისკუსიებში ასევე გამოვლინდა, რომ მოხელეების დიდი ნაწილი, ამავდროულად, უარყოფითად აფასებს ონლაინ ტრენინგებთან დაკავშირებულ წარსულ გამოცდილებას და უპირატესობას პირისპირ ტრენინგებს ანიჭებს. შესაბამისად, იკვთება მოხელეების მზაობა ონლაინ სწავლების მიმართ, თუმცა, მხოლოდ ხარისხიანი ტრენინგების შეთავაზების შემთხვევაში.

მოხელეების დიდი უმრავლესობის შეფასებით, მათთვის პრობლემას არ წარმოადგენს გამართულად მომუშავე კომპიუტერულ ტექნიკაზე წვდომა სამსახურში (91%) და სახლში (83%). თუმცა, ხელმისაწვდომობა ვიდეოთვალსა და მიკროფონზე შედარებით დაბალია (72% და 75%). ასევე, გასათვალისწინებელია, რომ სტაბილურ მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომა აქვს მოხელეთა 74%-ს სამსახურში და 77%-ს - სახლში. მოხელეთა 10% მიიჩნევს, რომ სჭირდება დამატებითი კურსის გავლა „მაიკროსოფტ ოფისის“ პროგრამებთან სამუშაოდ, ხოლო 11%-ს ესაჭიროება ცოდნის ამაღლება, პროგრამების გადმოწერისა და ინსტალაციისათვის. კომპიუტერული უნარების გაუმჯობესების მსურველთა მანგვენებელი გაცილებით მაღალია 40+ ასაკის საჯარო მოხელეებში.

საჯარო მოხელეთა ერთიანი სასწავლო ონლაინ პლატფორმის წარმატებული დანერგვისათვის, აუცილებელია, რომ პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული თავად მოხელეები. მნიშვნელოვანია, გათვალისწინებული იყოს მოხელეების სურვილები და პლატფორმაზე მათთვის ხელმისაწვდომი გახდეს კურსების ფართო ჩამონათვალი, რაც მათ საშუალებას მისცემს, გრძელვადიან პერსპექტივაში დაგეგმონ საკუთარი პროფესიული განვითარება და კარიერული წინსვლა.